CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი 14 დეკემბერი, 2009 წელი. №272 (2310) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

რუსეთი და ამერიკა მოლაპარაკებებს გააგრძელებენ

A7

წლის საუკეთესოები

A11

მახარაძე ჩემპიონობას უმიზნებს

A13

24 Saati
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FREE INDUSTRIAL ZONE
RAKIA GEORGIA
HYUNDAI

არჩევნები, რომელიც არაფერს ცვლის

დათო გამისონია

გუშინ გამოქვეყნებული შედეგების მიხედვით, ე.წ. არჩევნებში ბაგაფშმა ამომრჩეველთა ხმების, თითქმის, 60 პროცენტის მოპოვება შეძლო. სერგეი ბაგაფში აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის პოსტზე მეორე ვადით ისე აირჩიეს, რომ მის გამარჯვებაში ადგილობრივ ქართველებს, ფაქტობრივად, წვლილი არ შეუტანიათ. ამჯერად უფრო მნიშვნელოვანი იყო სომხური მოსახლეობის წვლილი. ოფიციალური თბილისი ოკუპირებულ აფხაზეთში გამართულ არჩევნებს უკანონოდ მიიჩნევს და საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა წევრს მოუწოდებს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიის მიმართ არაღიარების პოლიტიკა კვლავ თანამიმდევრულად გაატაროს.

აფხაზეთის ე.წ. ცესკო-ს თავმჯდომარემ ბატალ ტაბაღუამ ოკუპირებულ აფხაზეთში გამართული საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები გამოაქვეყნა. ტაბაღუას განცხადებით, სერგეი ბაგაფშს ამომრჩეველთა 59,4-მა პროცენტმა დაუჭირა მხარი; ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ ხმათა 15,4 პროცენტი მიიღო; "აფხაზეთის საზღვაო მიმოსვლის" გენერალურ დირექტორ ზაურ არძინბას ამომრჩეველთა 10,8 პროცენტმა გამოუცხადა ნდობა; "აფხაზეთის ეკონომიკური განვითარების პარტიის" კანდიდატ ბესლან ბუთბას კენჭისყრაზე მისულ ამომრჩეველთა 7,9 პროცენტმა მისცა ხმა; რაც შეეხება დე ფაქტო პრეზიდენტობის უპარტიო კანდიდატს, მეცნიერ ვიტალი ბგანბას, მის კანდიდატურას ხმის უფლების მქონე მოსახლეობის მოსახლეობის მხოლოდ 1,5 პროცენტმა დაუჭირა მხარი. საპრეზიდენტო არჩევნებისთვის გახსნილ 174 საარჩევნო უბაში 127 ათასი ამომრჩეველი იყო დარეგისტრირებული. საინფორმაციო სააგენტო "აპსნი პრესი" დე ფაქტო შინაგან საქმეთა მინისტრ ოთარ ხეციაზე დაყრდნობით იუწყებოდა, რომ თითოეულ საარჩევნო უბანზე - 3, ზოგან კი 7 მილიციელი მუშაობდა. ამასთანავე, 4 000 ამომრჩეველს - მოსკოვში, ხოლო 3 ათასს ყარაჩაი-ჩერქეზეთში გახსნილ საარჩევნო უბნებზე შეეძლოთ ხმის მიცემა. ბატალ ტაბაღუას ცნობით, აქტივობამ დარეგისტრირებულ ამომრჩეველთა 73 პროცენტი შეადგინა.

რუსული მედიის ინფორმაცით, დე ფაქტო საარჩევნო პროცესს რუსეთიდან, ნიკარაგუადან და ვენესუელიდან ჩასული დამკვირვებლები ესწრებოდნენ. ოკუპირებულ აფხაზეთში მოსკოვიდან ჩასულ ჯგუფს რუსეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვლადიმირ ჩუროვი ხელმძღვანელობდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

საბჭოური გოსტიდან - დღემდე

სურსათის უვნებლობის კანონის ამოქმედება ისევ გადაიდო

მანანა ვარდიაშვილი

სურსათის უვნებლობის კონტროლი გადაიდო. პარლამენტის გადაწყვეტილებით, მომავალი წლის 30 იანვრიდან სურსათის უვნებლობის კანონის მხოლოდ ის მუხლები ამოქმედდება, რომლებიც სურსათის მწარმოებელი კომპანიების რეგისტრაციას გულისხმობს. მათი კონტროლი კი ეტაპობრივად დაიწყება. ამავე კანონპროექტის თანახმად, ის საწარმოები, რომელთა პროდუქცია ევროკავშირში ექსპორტზეა ორიენტირებული, 2011 წლიდან შემოწმდება. მალფუჭადი და სხვა მაღალი რისკის მქონე პროდუქტების მწარმოებლები კი 2013 წლიდან გაკონტროლდებიან. ყველა სხვა დანარჩენი საწარმო შემოწმებას მხოლოდ 2015 წლიდან დაექვემდებარება. სურსათის უვნებლობის კანონი საქართველომ 2006 წელს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის ფარგლებში მიიღო. თუმცა, კანონის მოქმედება მეწარმეობისათვის ხელშეწყობის მიზეზით მიღებისთანავე შეჩერდა და 2010 წლამდე გადაიდო.

გაგრძელება A4 გვერდზე

გოიმომაქია

ნოდარ ლადარია

"რუსთავი 2"-ზე ერთი ქართული სერიალი გადის... არა, იმას არ ვგულისხმობ, სადაც მსახიობები ისე თამაშობენ, თითქოს პირველ რეპეტიციაზე რეპლიკების მიმდევრობას ეჩვევიან, საუნდტრეკი კი საეჭვოდ ჰგავს "ბანდიტსკი პეტერბურგს". მე სხვა სერიალს ვგულისხმობ, უფრო სწორად კი მის ერთ პერსონაჟს, გროტესკულ მოსულელო ტიპს, ზამთარზაფხულ, შინ და გარეთ რომ შორტებით დაიარება.

ამ პერსონაჟმა რაღაც ჟურნალის აქციები ჩაიგდო ხელში და მაშინვე გოიმობასთან ბრძოლა გამოაცხადა. იდეა, თავისთავად, არ არის ცუდი. უფრო მეტიც, ნამდვილად პერსპექტიული იდეაა. მე მჯერა, რომ ამგვარი ბრძოლა თუ დაიწყო, საქართველოში ის შეიძლება წარმატებითაც დასრულდეს. ქართველები საკმაოდ მალე უღებენ ალღოს ვითარებას, მყისვე გრძნობენ იმ ქარის მიმართულებას, რომლისკენ ნამდვილად ღირს ცხვირის მიბრუნება.

"24 საათის" ფურცლებზეც მიმდინარეობს ეს ბრძოლა, მაგრამ, სამწუხაროდ, ანონიმურად. აი, სოფიო კილასონიამ 9 დეკემბრის ნომერში გამოიჭირა ერთი ტელეარხი მეტად ნიშანდობლივ შეცდომაში. ის წერს, რომ ახალგაზრდა ქართველი მომღერალი ანიტა რაჭველიშვილი, რომელმაც მილანის ლა სკალას წლევანდელი სეზონი გახსნა, "ცნობილმა დირიჟორმა დანიელ ბარენბოიმმა და არა "ბარენგოიმმა" (სატელევიზიო ტიტრებსა და მინაწერებს ჯერ ისევ არაფერი ეშველა) დადგმაში მიიწვია".

გაგრძელება A3 გვერდზე

CMYK - 1